ტფილისი
ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 270
ხუთშაბათი, 13 დეკემბერი, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12. . .	10	—	6 . . .	6	—
11. . .	9	50	5 . . .	5	50
10. . .	8	75	4 . . .	4	75
9. . .	8	—	3 . . .	3	50
8. . .	7	25	2 . . .	2	75
7. . .	6	50	1 . . .	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877-1901

ივერია

№ 270
ხუთშაბათი, 13 დეკემბერი, 1901 წ.

რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

„ივერია“

გამოვა 1902 წელს
(დაარსებიდგან მე-25 წელიწადს)

ადიდებულ ადგილობრივ რუსულ გაზეთების ფორმატისა, იმავე პროგრამით, როგორც წინად.

თან და-თანობითი ზრდა მკითხველთა მოთხოვნილებისა და ის გარეოება, რომ ეხლანდელი პატარა ფორმატი გაზეთისა ხშირად ნებას არ აძლევს საჭირო საგნებსა და საზოგადო საკითხებს ჯეროვანი დგილი დაეთმოს ხოლმე,—გვაიძულებს გავადიდოთ გაზეთი და გავადოთ იმოდენა, რა ზომისაც ტფილისის რუსული გაზეთებია. ჩვენს აზეთს ამ რიგად მოემატება ნახევარი იმისა, რაც დღეს არის და მკითველს მისცემს ყოველ დღე 10 სვეტით მეტს საკითხავს მასალას.

რედაქცია ახალის წლიდგან განსაკუთრებულის ყურადღებით მოეყრობა ჩვენს სასოფლო-სამეურნეო საკითხებს, ეცდება გაამდიდროს ალიტერატურო განყოფილება გაზეთისა და განსაკუთრებით ვრცლად ნიშნოს ხოლმე ის მოვლენანი და დღენი, რომელთაც ჩვენში თუ და რუსეთში განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნებათ.

ფასი გაზეთისა ისევ თუმანია.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისში:

„ივერიის“ რედაქცია,
ნიკოლოზის ქ. № 21.

ქართველთა შორის წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიიდგან,
სასახლის ქ. ბანკის ქარვასლა,

ქუთაისში—ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიაში,

ბაქოში—ხიდდეკელის წიგნის მაღაზიაში, ნიკოლოზის ქუჩა, ლანთაროვის ქარვასლის პირ-და პირ. **ტელეფონი** № 227

საფოსტო ადრესი: ТИФЛИСЪ. Редакція „Иверія“.

ქართულ დრამატიულ საზოადოების გამგეობა აცხადებს, ომ რადგანაც 9 დეკემბრისათვის ანიშნული კრება საზოგადოებისა შესდგა წევრთა კანონიერ რიხვის დაუსწრებლობის გამო, დანიშნა მეორე კრება კვირის, .6 ეკემბრისათვის. კრება მოხდება რთულ თეატრის ფოიეში, დილის საათზედ და კანონიერი იქმნე, რამდენი წევრიც უნდა დაესოს.

განსახილველია შემდეგი საგნები:

1) 1901—1902 წლის შემოსავალ-გასავლის სავარაუდო ანგარი-

2) გამგეობის მოხსენება არტისტა ფონდის შესახებ და 3) არჩევბი გამგეობის წევრთა კანდიდატებისა, სარევიზიო კომისიის ერთ წევრისა და საზოგადოების ლ წევრებისა.

(2—უ—1)

ვისაც ჰსურს **საახალწლოდ დარბაზოდ სიარულის ნაცვლად** შეწირულობა გაიღოს „ქარ- შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ, შეუძლიან ფული „ივერიის“ რედაქციაში წარმოადგინოს.

(სარედ.)

1901 წლის 22 დეკემბერს ტფილისის საკრებულო დარბაზში გამართული იქნება წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოდ

კონცერტი,

რომლის დასასრულ იქნება **ცეკვა** ქართულ-ევროპიული. საღამოს დიასახლისად ბრძანდება ეკატერინე ივანეს ასული სარაჯიშვილი დაწვრილებით ცნობა თავის დროზე. ბილეთები საზოგადოების კანცელარიაში იყიდება.

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. ყორღანოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. ტელეფ. 791. (ნ.)

ქართველთა ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში და სახელოსნო სკოლაში იღებენ ყოველგვარ **საქმეავს**: კაბებს, თეთრეულს, ქარგვას და საცვლებზედ ამოჰკერავენ ნიშნებს (МѢТКИ). ბარონის ქუჩა, № 12.

(20—უ—19)

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 13 დეკემბერს, 1901 წ.
ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ

ვ. ა. აბაშიძის
საბენეფისოდ

წარმოდგენილი იქმნება პირველად ახალი პიესა:

I

უცნაური ხაფანგი

კომედია 3 მოქმედ., თხზ. ნ. გ. ც.

II

რაინდი უშიშარი და უებრო

ოპერეტტა 2 მოქ., მუსიკა ზუპპესი, თარგ ვ. აბაშიძისა.

მონაწილეობენ: ქ-ნნი გაბუნია ცაგარლისა, ტასო აბაშიძე, ჩერქეზიშვილი, ლეჟავა, ნებიერიძისა, მდივანი და სხ. ბ-ნნი: აბაშიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, აწყურელი, ურუშაძე, იმედაშვილი და სხვ.

დასაწყისი 8 საათზედ. ფასები ჩვეულებრივია.

მზადდება: „ბორკილი“,—„პედაგოგები“,—„გაძარცული ფოსტა“.

(3—უ.—3)

რეჟისორი ვ. გუნია

ექიმი

იაკობ ზაქარიას ძე გძელიშვილი

სწამლობს სიფილისს და შინაგან სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილით 9—12 საათამდე და საღამოთი 5—7 საათამდე. აქვს შესახვევი მასალა.

ავჭალის ქუჩა, № 85.

(142—242—8).

ტფილისის კერძო სამკურნალო

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

მიხეილ გედევანიშვილისა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი აგიაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ.

ს. გ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა. 9—10 ს.

გ. გ. მაღალაშვილი.—შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ქ. მ. ელიოზიშვილი.—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა. 11—12 საათ.

ექიმი-ქალი მ. ხ. ბაქრაძე ბავშვებისა—11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ა. გ. ბარსუკოვი — დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.

ი. დ. ბებთაბეგოვი. სიფილისისა, კანისა და საშარდესი, $1^1/_2$—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი. — შინაგან და ბავშვებისა. 5—6 სათ.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. საქირურგო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. ქარაპეტიანცი. $1—1^1/_2$ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 ს. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულ ავადმყოფობათა.

ვ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, $7—7^1/_2$ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

ბ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2$—8 ს. რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Пэрвая частная лечебница—д-ра
Навасардіана.
Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

მთავრობის განკარგულება.

ებოძათ ორდენი წმ. სტანისლავისა მე-2 ხარისხისა: ტფილისის საგუბერნიო მკურნალის თანამდებობის აღმასრულებელს ტიტ ქიქოძეს, შემახის მაზრის უფროსის თანაშემწეს სპირიდონ ფურცელაძეს და კავკასიის საარქეოლოგო კომისიის წევრს კამერ-იუნკერს თავ. ალ. მუხრანბატონს. ორდენი წმ. სტანისლავისა მე-2 ხარისხისა: კავკასიის საცენზურო კომიტეტის ადგილობრივ და აღმოსავლეთ ენების უმცროს ცენზორის თანამდებობის აღმასრულებელს გიორგი ჟურულს, ქუთაისის ბოქაულს სოლომონ შენგელიას, სენაკის მაზრის მომრიგებელ შუამავლის თანამდებობის აღმასრულებელს იონა მეუნარგიას. ორდენი წმ. სტანისლავისა მე-3 ხარისხისა: სვენციანის მაზრის მომრიგებელი შუამავალს ლეონტი მაჭუტაძეს, ბოჟი-პრომისლის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსს ეფრემ გამცემელიძეს. ორდენი წმ. ანნა მე-3 ხარისხისა—მაგილიოვის პოლიცმეისტერს გრიგორაშვილს.

ებოძათ პორუჩიკობა: ლომჟინის ბრიგადის კორნეტს ქარცივაძეს, ერევნისას—თულაშვილს და ბაქოსას—თავ. ერისთავს.

ახალი ამბავი

⁂ გუშინ, 12 დეკემბერს, საღამოს $6^1/_2$ საათზედ, ტფილისის სამოსამართლო პალატამ გამოაცხადა განაჩენი ქალაქის გამგეობის წევრთა საქმის გამო. პალატამ უდანაშაულოდ იცნო ყველანი,

⁂ დღეს, 13 დეკემბერს, ქართულ თეატრში ბენეფისია ნიჭიერის და საყვარლის არტისტის ვ. აბაშიძისა. მობენეფისეს წარმოსადგენად ამოურჩევია ახალი სამ მოქმედებიანი კომედია ნ. გ. ც—სა „უცნაური ხაფანგი“ და 2 მოქმე-

დებიანი ოპერეტტა ზუპპესი „რაინდი უშიშარი და უებრო“. ამ წარმოდგენაში ყველა არტისტები იღებენ მონაწილეობას.

⁂ თელავის მაზრის ექიმის მიტროფანოვის მაგიერ დანიშნეს ცხინვალის ნაწილის ექიმი მ. ცისკარაშვილი, რომელიც უკვე წავიდა თავის თანამდებობის ასასრულებლად.

⁂ გარეთ კახეთიდამ გვაცნობებენ, რომ ჩვენში ისეთი მშვენიერი ამინდებია, რომ გაზაფხულს მოაგონებს კაცს, მაგრამ მოსავლისთვის კი ცუდის მომასწავებელია; ასეთს ამინდებს მოზდევს ხოლმე თაგვი, რაც მთელს მინდვრის მოსავალს გვიოხრებს.

⁂ Новое Обозрение“-ს გაუგია, რომ გამოფენის სექსპერტო კამისიას დაუდგენია: ეთხოვოს კავკასიის სასოფლო მეურნეობის საზოგადოებას, შუამდგომლობა აღძრას შემდეგ პირთა დასაჯილდოებლად: 1) გ. გ. ადელხანოვისა ტყავეულობისა და ნაბდეულობის სააქციონერო ამხანაგობისა, 2) დ. ზ. სარაჯიშვილისა,— ორივეს სახელმწიფო ღერბით. 1) ii. ს. პერმიკინისა (შემდეგი ჯილდოთი) 2) ვილმოჩენისა (წმ. სტანისლავის ორდენით) 3) მ. ე. ფრიდონოვისა, 4) სოლომონოვისა 5) ხუბლაროვისა და 6) ფონკუჩენბახისა უმაღლესად საბოძებ ჯილდოებით.

აღძრულია აგრეთვე შუამდგომლობა, რომ საპატიო დიპლომები ებოძოს შემდეგ პირთ, რომელთაც თუმცა გამოფენაზე არაფერი წარმოუდგენიათ, მაგრამ დიდი ღვაწლი მიუძღვისთ კავკასიაში სასოფლო მეურნეობისა და მრეწველობის წარმატებისათვის. ესენი არიან: 1) ი. ი. ტიხეევი, 2) პ. ე. ტატარინოვი, 3) ბ-ნი ბრენნერი, დიდი მთავრის ბაღის „სინოპის“ გამგე, 4) ა. ა. ქალანთარი, 5) ა. ს. ანანოვი და 6) მ. ნ. გარსევანიშვილი“.

⁂ კავკავის კადეტთა კორპუსში ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობისათვის დანიშნული 133 სტიპენდია, ასე ჰქონია მმართებლობას განაწილებული: ტფილისის გუბერნიას ეძლევა 118 სტიპენდია და ზაქათალის მაზრას კი მხოლოდ 15.

⁂ ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოს ამ ბოლოს დროს აუარებელი ავადმყოფი მოაწყდა, ასე რომ, ექიმები და ფერშლები თავს ვერ ართმევენ თავიანთ მოვალეობას. ამ მიზეზისა და უადგილობისა გამოც ავადმყოფებს უარს ეუბნებიან საავადმყოფოში მიღებაზე, ავადმყოფთა გაჭირვება წარმოუდგენელია.

⁂ ქუთაისის სცენის არტისტქალის ნინა ჩხეიძის ავადმყოფობისა და ნივთიერ უსახსრობისათვის ყურადღება მიუქცევიათ კერძო სამკურნალოს დირექტორს ბ-ნ გედევანიშვილს და ექიმს ვ. პიპინაძეს და გადაუწყვეტიათ უფასო ლოგინი დაუთმონ მას. ეს კაცთმოყვარული გადაწყვეტილება უკვე შეუტყობინებიათ ნ. ჩხეიძისათვის, რომელიც, სასურველია, მალე ჩამოვიდეს.

⁂ წინა წლებში სოფლის მედუქნეები პირდაპირ მაზრის უფროსისაგან იღებდნენ ხოლმე დუქნების გახსნის ნებას, ეხლა კი გუბერნიის სამმართველოდგან უნდა აიღონ ნება-რთვა. გუბერნატორს აგრეთვე საჭიროდ დაუნახავს, რომ ყოველს სოფლის საზოგადოებაში თითო დუქნის მეტი არ იყოს.

⁂ ნახიჩევანის მაზრის ექიმს ბ-ნს გ. ი. ბადრიძეს „Тиф. Лист.“ სიტყვით სანიტარულ ნაწილის ექიმობა უთხოვნია ტფილისის ქალაქის გამგეობისათვის.

⁂ ს. თიანეთიდგან გვწერენ: „ეს ჩვენი ყოველს ადვილად მისავალს გზებს მოშორებული და ქალაქებს დაშორებული, საცალა მაღალ მთების წვეროებზედ გადმომდგარი და თითქის ყველასაგან დავიწყებული ადგილი თიანეთი ამ ორის კვირის განმავლობაში ოქროს მძებნელების წყალობით თითქმის ყველა კაცისა და ქალაქისათვის ცნობილი გახდა. ამ ორის კვირის წინად და ეხლაც მრავალი ოქროს და სხვა მაღნების მძებნელით აივსო საბადურის ქედის პირ-იქითი და პირ-აქეთი ადგილები (ცხვარი-ჭამიდგან ერწომდე). ყველგან ტყეები და მინდვრები აავსეს „ზაიავკის“ ბოძებითა და ზედ-წარწერებით.

თიანელებს უკვირდათ, საბადურში და ცხვარი-ჭამიაში ოქროს რა უნდა, იმ კლდეებსა და რიყეებშიო და, თურმე ნუ ბრძანებთ, აქ ცხვირ წინ გვქონია ოქროს მადნები, რომლებსაც ყოველდღე ფეხითა ვქელავდით და ჩვენ კი ვერასფერი გავიგეთ!

ამ თვის ექვსში თიანეთიდგან აღმოსავლეთ-ჩრდილოეთის მხარეს, სწორედ ერთის ვერსის მანძილზედ ს. თიანეთიდგან ოქროს მადანი აღმოაჩინა სიღნაღის მაზრიდან მოსულმა მდიდარმა სომეხმა და დაადგა ბოძები და რაღაც ნიშნები. აქვე თიანეთიდგან ერთ-ნახევარ ვერსზედ აღმოჩნდა მშვენიერი ლიტოგრაფიის ქვა და გაჯი, თიანეთის ახლოვე, ს. ზემო—თიანეთში აღმოჩნდა მშვენიერის ღირსების ფარფორის (ჭურჭლის) თეთრი თიხა, რომელიც სპეციალისტებისაგან ძალიან მოწონებული იქნა და ბოძებიც ჩაარჭვეს.

⁂ ქ. ერევანიდგან გვატყობინებენ: „5 ქრისტისშობის თვეს გამოემშვიდა ერევნის სამოსწავლო სემენარიის დირექტორი მ. ალ. მიროპიევი სემენარიის კორპორაციასა და შაგირდებს და გაემგზავრა გორისაკენ, სადაც იგია ამ ჟამად დანიშნული სემინარიის დირექტორად. გამცილებელთა შორის იყვნენ: ახალი დირექტორი სემენარიისა ბ. პასუტევიჩი, გიმნაზიის დირექტორი ბ. ბრაჯნიკოვი, გიმნაზიის მასწავლებლები და სემენარიის მთელი კორპორაცია.

მართალია რკინის გზა ალექსანდროპოლიდგან ერევნამდის თითქმის დამთავრებულია, მაგრამ ექვსს დეკემბერს მაინც ვერ მოასწრეს, რომ პირველი მატარებელი მოსულიყო. ეხლა, როგორც შევიტყე, მატარებლის აქ მოსვლის დრო ამ თვის ცამეტისათვის გადაუდვიათ. ამბობენ, პირველი მატარებლით, გარდა ბ. ვურცელისა, მოვა თვით მთავარ მართებელი, რომელიც ერევანში ზოგი ერთს სახელმწიფო დაწესებულებებსაც (казенныя учрежд.) გაშსინჯავსო.

⁂ რკინის გზის „გადასახადთა ნაწილის“ უფროსს ბ. ვერტს გამოუცხადებია თვისდამი რწმუნებულ დაწესებულებაში მოხელეთა საყურადღებოდ, რომ მათგანი, ვინც სახელმწიფო სამსახურში არ ითვლება, არც შტატში მყოფთ და არც დროებით მოხელეთ არა აქვთ უფლება ფორმის ტანისამოსის ტარებისა.

⁂ ამ დღეებში პოლიციის ბოქაულებმა მოაწერინეს ხელი გამოცხადებაზედ ღვინითა და არყით მოვაჭრეთ, რომლებიც ეკლესიაზე, სასწავლებლებზედ, ბაზარზედ (იარმუკაში) და ყაფანზედ 40 საჟენზედ უფრო ახლო ვაჭრობენ, რომ მომავალს წელს პატენტი არ აიღონ და მოსპონ ვაჭრობა.

⁂ სოფელ საგარეჯოდამ გვატყობინებენ: „აქ 1 დეკემბერს ცეცხლი გაუჩნდა ალექსი მეზვრიშვილის თივის ძირს (ზვინს). ცეცხლი გადაედვა მეზობლის მაზმაჩიშვილის მარანს და ნაცრად აქცია. ამბობენ მტრობით არის ეს ცეცხლი წაკიდებულიო, მაგრამ დამნაშავე ჯერ ვერ ამოუჩენიათ.

⁂ ორშაბათს, 10 დეკემბერს, ნავთლუღის სადგურთან 295 ვერსზედ ხიდის ქვეშ ნახეს თოკით ჩამომხრჩვალი დრაგუნის პოლკის ჯარის კაცი.

ხმა შორიდგან

წრევანდელ ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების კრებების გამო.

თქვენ, ტფილისში მყოფნი, არ ვიცი, რა აზრისანი ხართ და ჩვენკი, ვინც შორიდან ვადევნებდით თვალ-ყურს წარსულ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კრებებს და დღესაც ვადევნებთ მათგან გამოწვეულის კამათს გაზეთების ფურცლებზედ, დავრწმუნდით, რომ პიროვნულ ნიადაგზე დამყარებულს ბრძოლას, რაც ძირს უთხრის ყოველს ჩვენს საზოგადო საქმეს, იქაც უჩენია თავი ჩვენდა საუბედუროდ.

ახალგაზდობას მოღვაწეობა უნდა; დღემდე გზა ჰქონდა შეკრული და აი, დღეს გაეხსნა იგიო, ამბობენ ზოგიერთები და ამაში ჰხედვენ წრევანდელი გამწვავეულ ბრძოლის სანუგეშო შედეგს. მე არ ვიცი, როდის ჰქონდა ახალგაზდობას გზა შეკრული წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობაში. პირ-იქით, რომელ ახალგაზდასაც-კი მოუსურვებია, ჩაწერილა წევრად და უარი არ უთქვამს გამგეობის წევრობაზე, აურჩევიათ მაშინვე. სხვა რა დიდი დამსახურება მიუძღოდათ ვითომ საზოგადოების წინაშე მ. მ. კიტაბაშიძეს, ვლ. ლორთქიფანიძეს, ივ. ზურაბიშვილს და სხვებს გარდა ახალგაზდობისა, რომ გამგეობის წევრებად ბრძანდებოდნენ.

დავანებოთ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას თავი; რა ხანია, არა ნაკლებ მნიშვნელოვან, დრამატიული საზოგადოების გამგეობა თითქმის სრულიად ახალგაზდათა ხელში გადავიდა, სადაც მესამე დასის მეთაურიც-კი იყო, და ერთი მიბრძანეთ, რა კეთდება, ან გაკეთდა იქ იმისთანა, რაც წინადაც არ გაკეთებულიყოს სრულიადაც არაფერი. რეპერტუარის განახლებაზე და გაუმჯობესობაზე ჰყვირიან რამდენი ხანია და, როცა ახალი პიესა მიუვათ, იმასაც-კი არ კითხულობენ!

დიახ, ბატონებო, საქმე ის კი არ არის, თავმოყვარეობა დაიკმაყოფილოთ და სახელით ამა თუ იმ დაწესებულების სათავეში გამოიჭიმოთ, საქმე ის არის, გააკეთოთ რამე და მხოლო იმდენ საქმეში ჩაებათ, რამდენის დახმარებაც შეგიძლიათ, მოქმედებით და არა მხოლოდ ცარიელ სიტყვით.

გარდა ამისა არც ის უნდა დავივიწყოთ, რა პირობებში ვართ; ჩემის აზრით, ერთი მიზეზთაგანი, რომ ჩვენი ქალაქების თვით მმართველობის საქმე ასე აიწეწ-დაიწეწა ზოგან, თვით ჩვენივე უდისციპლინობაა: ერთ ნამცეცა საქმის გაკეთებას რომ ვფიქრობდეთ, იმდენს ვიყვირებთ ხოლმე, რომ მთასა და ბარს შევსძრავთ.

კმარა, ბატონებო, ბალღური ატაცება და, ბურბუშელასავით, ერთის წამით აპრიალება! ნაკლები ხმაურობა და მეტი მუშაობა, აი რა უნდა დაიდვას დევიზად ყოველმა ქართველმა საზოგადო მოღვაწემ და, განსაკუთრებით, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ... რა უბედურებაა, რომ ყოველთვის და ყოველგან, რაც უნდა სერიოზული საქმე გვედვას წინ, მაშინვე პიროვნებზე უნდა გადავიდეთ და მზადა ვართ, ჩვენს თავმოყვარეობას ყველაფერი ვუმსხვერპლოთ.

სამწუხაროდ, ზოგიერთი ინციდენტი, წარსულ კრებებზე მომხდარი, ამნაირი ხასიათისა იყო, როგორც შორიდან სჩანდა, და ღმერთმა ნუ ქნას, რომ ეს შემთხვევითი არ ყოფილიყოს და სამუდამოდ დასჩემებოდეს, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას! ღმერთმა ნუ ქნას, რომ გამგეობის ახალ წევრათ საზოგადო კრებებზე დაწყებული ბრძოლა გამგეობაშიაც გადაეტანოთ და მუშაობის მაგიერ ერთმანეთთან კინკლაობაში ეკარგოთ დრო! მაშ, ვისურვოთ, რომ ახლა მაინც გამოფხიზლებულიყოს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა და ყოველი გასაკეთებელი საქმე კეთილად დაგვირგვინებინოს! მერე რამდენი საქმეა გასაკეთებელი, ვინ მოსთვლის?..

მივაქცევ, მაგალითად, ახალ გამგეობის ყურადღებას სამეგრელოზე, სადაც მიუცილებელი საჭიროა წიგნთსაცავ სამკითხველოების დაარსება.

მეტად საყურადღებოა მ. გიორგი ლუღუშურის წერილი „არაყიშვილის წერილის გამო“ („ცნ. ფურც.“ № 1643, 16 ნოემბერი) ქ. მოზდოკის ქართველობის შესახებ. ახალმა გამგეობამ, უეჭველად, უნდა ყოველი ღონე იღონოს ამ ქალაქში თავის სკოლის დასაარსებლად, რისთვისაც საჭირო ფულს ადგილობრივვე შეკრებს, როგორც წერილიდანა სჩანს; ასე რომ მხოლოდ საქმას მოთავეობა და პირადი ენერგია ყოფილა საჭირო და ჩვენც ამასა ვთხოვთ ახალ გამგეობას...

დუტუ მეგრელი

„ქართული საღამო“ მოსკოვში.

25 ნოემბერს მოსკოვის „საკეთილშობილო დარბაზში“ გამართული იქნა ჩვეულიბრივი, რიცხვით მე-XXVI, ქართული საღამო ქართველ ღარიბ სტუდენტთა სასარგებლოდ. სიმპატიური მიზანი ქართულ საღამოებისა იმდენად თვალსაჩინოა მოსკოვის საზოგადოების ერთის ნაწილისათვის, რომ უზრუნველჰყოფენ მათ მოჰავალშიც, მაგრამ პირდაპირს დანიშნულებას ეს საღამოები მხოლოდ მაშინ აღწევენ, როცა გამართვის ინიციატივას ჰკისრულობს რომელიმე პატივსაცემი პირი და როცა საღამოში მონაწილეობის მიმღებ მსახიობთა შორის სჩანს რომელიმე ცნობილი მსახიობი.

ჩვენი თანამემამულე თავ. ა. ი. სუმბათაშვილი (იუჟინი), ქ-ნი კლიმენტოვი-მურომცევისა, ბ-ნი იპოლიტოვი — ივანოვი დიდ სამსახურს უწევენ ამ შემთხვევაში ქართველ სტუდენტობას. იშვიათი შემთხვევაა, რომ მათის მიხედვით, რომელმამე მსახიობმა უარი განაცხადოს საღამოში მონაწილეობის მიღებისა და თვით მათი მონაწილეობა საზოგადოებისათვის უყურადღებოდ დარჩეს. წრევანდელს ქართულ საღამოში, რომელიც გამართა ბ-ნმა იპოლიტოვ-ივანოვმა, სამწუხაროდ შემთხვევით ვერ მიიღო მონაწილეობა ზოგიერთმა შესანიშნავმა მსახიობმა. მოსკოვის საზოგადოების ყურადღება ამ ჟამად ორს მსახიობზედ არის მიქცეული (შალიაპინი და სობინოვი); ესენი არიან დღეს საზოგადოების კერპებად გადაქცეულნი; ამიტომ მათ არ ძალუძთ ყველა მთხოვნელნი დააკმაყოფილონ. ამას გარდა ქ-ნი იაბლოჩკინა და ბ-ნი სუმბათაშვილი აფიშაში თავის დროზედ ვერ იყვნენ გამოცხადებულნი. მიუხედავად ამისა საღამოს დიდძალი ხალხი დაესწრო და ეჭვის გარეშეა, რომ ქართველ სტუდენტებს ზარალი არ მოუვათ.

ქ-ნმა იაბლოჩკინამ და ბ-ნმა სუმბათიშვილმა წაიკითხეს მონოლოგები გრიბოედოვის კომ. „ვაი ჭკუისაგან“. საიმპერატორო ოპერის მსახიობებმა ქ-ნმა სალინამ (სოპრანო) იმღერა არია „ცარსკაია ნევესტიდგან“, ქ-ნმა მალეცკაიამ იმღერა რომანსი დარგომიჟსკისა, ბ-ნმა ხ იუჟინმა შეასრულა არია ოპერიდგან „პრორიკ“, ბ. პერნარდიმ არია ოპერიდგან „იოლანტა“, ბ-ნმა სპერანსკიმ რომანსი, ქ-ნმა პროკოპოვიჩისამ და ბ-მა იგუმნოვმა საზოგადოების აღტაცება გამოიწვიეს თავიანთ ნიჭით. ქართველ სტუდენტებმა ნიშნად მადლობისა ყველა მსახიობს გვირგვინი მიართვეს.

ხორომ ბ-ნ ფალიაშვილის ლოტბარობით შეასრულა და საზოგადოების თხოვნით რამდენჯერმე გაიმეორა ქართული სიმღერები. დასასრულ გაიმართა ლეკური, რამაც ტაშის ცემა და ვაშას ძახილი გამოიწვია. არ შეგვიძლიან არ ვუსაყვედუროთ ქართულ ხორის მომწყობთ, რომ ყოველ წელს თითქმის სულ ერთს და იმავე სიმღერებს ასრულებენ, თითქო ჩვენ სხვა და უფრო უკეთესი სიმღერები არა გვქონდეს.

18 საღამოს დავსწრებივარ და სუყოველთვის ხორო ქართულ ტანისამოსში გამოწყობილი ყოფილა. მხოლოდ წრეულს არ ეცვა ჩვენებური ტანისამოსი. არც საღამოს „მასპინძლებს“ ეცვათ ქართულ

ტანისამოსი; ნახევარი მაინც ჩვენებურ ტანთსაცმელში უნდა ყოფილიყო გამოწყობილი; ათიოდ კაცს ეცვა ჩერქესკა, ისიც უმეტესობას სხვის ტანზე შეკერილი, და, აბა იფიქრეთ, რა იქმნებოდა! გურულს ტანთსაცმელს ხომ სანთლითაც ვერ იპოვიდით. თუ „ქართულ საღამოზედ“ ქართული არა იქნება-რა, არც სიმღერები და არც ტანტსაცმელი, შესაძლებელია საზოგადოებამ გული აიცრუოს.

ს. კ.

წერილი რიონ-ვალის კუთხიდგან.

(ქუთაისის მაზრა) 28 ნოემბერი

ჩვენსკენ ჯერ კიდევ კარგი ამინდი სდგას, რომელიც ხელს უწყობს აქაურს მკვიდრს, საზამთროდ რიგიანად მოემზადოს. გარშემო მთები და მაღლობი ადგილები უკვე ჩამოთოვა; ამის გამო სოფლებში 14 ნოემბერს შემდეგ საკმაოდ აცივდა. სიმინდის ფასმა ცოტა აიწია: ძველი და ახალი ათ შაურად იყიდება ახლა. ზემო იმერეთიდგან ყოველ დღე ჩამოაქვთ ჩალვადრებს ღვინო, უმეტეს ნაწილად თეთრი და ფუთს თორმეტ აბაზად ჰყიდიან (ბოთლი 15 კაპ. ჯდება), ბამბაც იაფია; გაურჩეველი ფუთი თერთმეტი აბაზი ღირს; დაფნის ფოთოლი ქ. ქუთაისში და დ. სამტრედიაში იგზავნება, ფუთი ორ მანეთად გადის. ლობიო გაძვირდა: ფუთი მანეთად იყიდება.

ჯერ არ გვახსოვს, რომ გზები და ბოგირები ასე ჯოჯოხეთური ყოფილიყოს, როგორც ამ შემოდგომის ბოლო თვეში შეიქნა. ჩვენი დილიჟანსები საცოდავად ძლივს-ღა დაღოღავენ ცუდის გზისა გამო, მოგზაურებს ყოველ ბოგირთანა და მუხლამდის ტალახში ფეხით სიარული უხდებათ. მოსწავლეები სასწავლებლებში ათ საათამდე თავს ძლივს იყრიან, ან-კი, რა ჰქნას საბრალო ბავშვმა, რომელიც ექვსი ვერსის მანძილიდგან დადის სასწავლებელში და იძულებულია, წყალტალახში მუხლებამდე ურიოს. ახლა გაზაფხულამდე აქეთ ეკლესიაში მისვლაც-კი გასაჭირია, და ამიტომ ეკლესიის მაგივრობას ზამთრობით დუქნები ასრულებენ, სადაც უსაქმო ხალხი იკრიბება და ლაზღანდარობაში და ქაღალდის თამაშობაში ატარებს დროს.

ხალხი, ეჭვი არ არის, თვისით ვერას ითავებს გზის გასაკეთებლად, მეთაურობას-კი არც მღვდლები ეძებენ და არც მამასახლისები. ესე გზების საქმე ამ საზამთროდ მოწყობილი და სოფლის მოხელეები ყურსაც არ იბერტყავენ, გამოდარებას ესე იგი, კარგს მზიან დღეებს უცდიან, რომ გზები შეშრეს და მაშინ იმუშავონ. ამასობაში-კი თოვლიც მოგვიახლოვდა.

ბოქაულებმაც თავიანთი მოვალეობა კარგა ხანია შეასრულეს: როდესაც მაზრის უფროსმა მოსწერა გზები შეაკეთებინეთო, ქაღალდს მეორე გვერდზე წააწერეს „передается старшинѣ для исполненія“-ო და გზების შეკეთება ამითი დაასრულეს..

მამასახლისები-კი, იცით, უმეტესს შემთხვევაში როგორ აკეთებენ გზებს? გამოიყვანენ ორიოდე ურემსა დ სადაც დიდი ტალახი ეგულებათ მიაყრ-მოაყრიან ზევიდგან სილას, და გათავდა საქმე.

—

ს. ინაშაურში, სადაც გოგირდის წყლებიც არის, გლეხთა ბედენაშვილების მამულში გამოჩნდა ერთგვარი თეთრი ქვა, რომელიც ცეცხლში გამოწვის შემდეგ რბილდება და ემზგავსება ცარცს. იჯარადრად გაუჩნდა ვიღაც სომეხი; იღებს ქვას ფუთს სამ კაპიკათ, სწვავს, შემდეგ აფქვევინებს წისქვილში და ტომრებით სადღაც ჰგზავნის, აქ ქვას სახელად ალებასტრს უწოდებენ, ხმარობენ სოფლებში ბუხრების გასალესადა და მეტად კარგიც გამოდის. დაფქულს ქვას სომეხი აქვე ჰყიდის ფუთს ორ აბაზათ. სად ჰგზავნის, ან რა გამოდის ამ ქვიდგან, არ იციან.

ურიგო არ იქნება, ჩვენმა მცოდნე კაცებმა ამას ყურადღება მიაქციონ.

—

ამაღლების ბაზარი დღითი-დღე თან-და-თან მატულობს; ადვილი შესაძლებელია ოდესმე დაბად გადიქცეს და ჩვენს მიყრუებულს კუთხეს რაიმე ეშველოს. კვირაობით, როდესაც ვაჭრობაა დაწესებული, მთავრობის განკარგულებით წესიერების დასაცველად აჯამეთიდგან დარაჯები ამოდიან.

აქაური საეკკლესიო ორ კლასიანი სკოლა ჯერ-ჯერობით კიდევ ვერ არის ფეხ-მომაგრებული: საზოგადოებაში ფულები ვერ შეჰკრიბეს, შენობა არ დაწყებულა, მასწავლებლებზედ ხშირად საჩივრები იგზავნება და ხმებიც დადის, ვითომ სასულიერო მთავრობა დ. ბაღდადში აპირებს სკოლის გადატანასო. როგორ გათავდება სკოლის საქმე, არ ვიცით.

—

ს. ვანში შესდგა მესამე ამხანაგობა, რომელმაც საკუთარი დილიჟანსი შეიძინა. ამ გვარად ეხლა სამტრედია-ტობანიერ-ვანს შუა სამი დილიჟანსი დადის, რის გამოც უფრო თავისუფლად მოგზაურობს ხალხი. ჩვენკენ ამას წინად გავრცელდა ავადმყოფობა ბღერი, ეხლა კი ყელის ტკივილმა იჩინა თავი. კარგა ხნის აქეთ ქურდობისა არა ისმოდა-რა, მაგრამ ეხლა-კი ისევ გახშირდა: ამ ერთს თვეში ათიოდე ცხენი უკვე წაიყვანეს.

—

საგუბერნიო მმართველობას დაუდგენია, რომ 545 მანეთი, რომელიც ტობანიერის საზოგადოების მამასახლისის განსვენებული მათე გეგიძის სიკვდილს შემდეგ აღმოჩნდა გაფლანგული, შევსებულ იქმნას ისევ საზოგადოების მიერ და გეგიძის ქვრივ-ობლები განთავისუფლებულ იქმნეს ამ ვალისაგან.

ვლადო ბზვანელი.

სასამართლოს მატიანე.

—

ქალაქის გამგეობის გასამართლება.

(გაგრძელება *)

როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, კვირას პალატამ დაამთავრა ბრალდებულის მხრივ დაბარებულ მოწმების ჩვენების ჩამორთმევა და ამავე საღამოს განაგრძო გამოკითხვა ბრალდებულთა მოწმებისა. ამ დღეს სხდომა შესწყდა საღამოს 8 საათზედ და გადაიდვა ორშაბათს, 10 დეკემბრის დილის 9 საათისათვის. ორშაბათს სხდომა დილის 9 საათიდგან დაწყებული გაგრძელდა თითქმის საღამოს $8\frac{1}{2}$ საათამდე. იკითხა ამ დღეს 32 მოწმეს, რომელთაც, გარდა ერთი-ორისა, აჩვენეს ბრალდებულთა სასარგებლოდ. მაგ. ქალაქის მდივანმა ს. თ. ჰრელაშვილმა, რომელიც ყველაზე უფრო ახლოა ქალაქის საქმეებთან, დაასურათა რთული და მძიმე მოვალეობა გამგეობისა და თითოეულის წევრისა და აღნიშნა არღუთინსკისა, ვერმიშევისა და სხ. დაუღალავი შრომა. კარგა ხანს გამოჰკითხეს მოწმეს ა. ს. ბაბოვს, რომელმაც იმის დასახასიათებლად, თუ მაშინდელი გამგეობა რამდენად ასრულებდა თავის დანიშნულებას, სთქვა, რომ ეს დრო გამგეობის მოქმედებისა ოქროს დროდ უნდა ჩაითვალოსო. ერთმა ხმოსანმა ისიც განაცხადა, რომ 20 წელიწადი ხმოსნად ვარ და ასეთი მუყაითი და საქმისათვის თავდადებული გამგეობა არა გვყოლიაო; ერთის სიტყვით, მოწმენი ბრალდებულთა სასარგებლოდ ლაპარაკობდნენ. ორშაბათს მოწმეთა ჩვენების ჩამორთმევა დასრულდა საღამოს $5\frac{1}{2}$ საათზედ. შემდეგ წაკითხულ იქმნა არ გამოცხადებულ ზოგიერთ მოწმეთა ჩვენებანი და სხვა-და-სხვა საბუთის ქაღალდები. სხდომა შესწყდა $8\frac{1}{2}$ საათზედ და გადაიდვა მეორე დღისათვის.

გუშინ წინ, სამშაბათს, სხდომა განახლდა დილის 9 საათზე და შეუდგნენ ისევ საბუთის ქაღალდების კითხვას, რამაც გასტანა $10\frac{1}{2}$ საათამდე. აღნიშნულ დრომდე დასრულდა გამოძიება და პალატის თავჯდომარემ ბ-ნმა ვრასკიმ წინადადება მისცა ბრალდებულის ამხანაგს ბ-ნ ლემერმანს თვისი სიტყვა წარმოეთქვა.

ბ-ნმა ლემერმანმა დიდ ხანს ილაპარაკა და დაახლოვებით განაცხადა შემდეგი: ყველა იმ საბუთებისა და მოსაზრებათა შემდეგ, რომელნიც საქმის გამოძიების დროს იქმნა გამოქვეყნებული, საჭიროდ არა ვსთვლი დაწვრილებით შევჩერდე ამ საქმეზე და თითოეული ფაქტი, ბრალდებულთა გამამტყუნებელი, მოვიყვანო. სასამართლოს გამოძიების დროს წაკითხულ საბუთებს შეაქვს სინათლე და ნათლად გვიჩვენებს მთელის საქმის გარემოებას. ვინც საქმეს არ იცნობს, შეუძლიან სთქვას, განა შესაძლებელია ბრალდება იმ პირთა, რომელთა გამგეობაში ყოფნის დრო ქალაქის თვითმმართველობის ბრწყინვალე ეპოქას ეკუთვნისო? სულ სხვა აზრისა უნდა იყვეს ის, ვინც დაკვირვებით თვალყურს ადევნებდა გამოძიებას, რომლის დროსაც მრავალი საბუთი გამოქვეყნდა; ამ საბუთებს შეაქვთ საქმეში არა გამამართლებელი ელემენტი. მართალია, აქ ეკითხა მთელს რიგს მოწმებისას, რომელნიც თითქმის წინადვე შეკვეთილ ტემაზედ კარგს პასუხებს იძლეოდნენ და ზოგიერთებმა სიტყვებიც-კი წარმოსთქვეს და ხმამაღლა აღნიშნეს, რომ ამ გარემოების დრო ბრწყინვალე ეპოქას ეკუთვნის. ეს ოქროს საუკუნე გამგეობის მოქმედებისა და სხვაო, მაგრამ საქმის ერთი მხარე დივერტისმენტს წარმოადგენს და მისი საქმეში მიღება ჩემის აზრით ყოვლად შეუძლებელია. ის მოწმენი, რომელნიც ამბობდნენ, რომ 1897 და 1898 წლები ოქროს დროს წარმოადგენდა ან და 20 წელიწადი ხმოსნად ყოფილან და ასეთი მხნედ მომქმედი გამგეობა არ ახსოვთ, ივიწყებენ დღევანდელ ბრალდებულთა წინა მოადგილეებს, რომელთაგან ბევრმა მართლაც დიდი სამსახური გაუწია ქალაქის თვითმართველობას. ბრალდებულნი თავს დამნაშავედ არა სცნობენ და ამბობენ, ვაკეთებდით ერთს საქმეს და მეორესათვის უფრო წვრიმალ საქმისათვის დრო აღარ გვრჩებოდაო; მათ ავიწყდებათ, რომ გამგეობის წევრს ირჩევენ იმიტომ კი არა, რომ ბრწყინვალე მოხსენებანი დასწეროს და კაბინეტში ჩაიკეტოს, არამედ იმიტომ, რომ ცოცხალი საქმე აკეთოს და ფხიზელ დარაჯად ედგეს ქალაქის ინტერესებს. მე, როგორცა ვთქვი, დაწვრილებით არ აღვნიშნავ მთელ საქმის გარემოებას; პალატა განხილვის დროს თვით მივა სამართლიან დასკვნამდე: მე მხოლოდ შევუდგები უმთავრეს საბრალმდებლო მუხლების განმარტებას.

ქალაქის თვით-მმართველობაში ორი დაწესებულებაა, რომელთა ზრუნვაზეა დამოკიდებული მცხოვრებთა კეთილმდგომარეობა: ერთი საბჭო, რომელსაც აქვს განმკარგულებელი და საქმეთა ასე თუ ისე გადამწყვეტელი უფლებანი და მეორე გამგეობა რომელიც ასრულებს დამოუკიდებლად ყოველსავე გარდაწყვეტილებას. გამგეობა სრული გამგე-პატრონია ქალაქის ცხოვრება-ქონებისა. საქალაქო დებულების მე-98 მუხ. ძალით ქალაქის გამგეობის საქმეები უნდა განხილულ იქმნენ ხოლმე ზოგნი კოლეგიურად, საერთო სხდომაზე და ზოგნიც ცალკე. ბრალდებას გამგეობისას მიეცა საფუძველი იმით, რომ თავის წევრებ შორის გაანაწილა სამუშაო, მაგრამ დადგენილება მუშაობის განაწილების შესახებ არ იქმნა დასამტკიცებლად საბჭოში წარდგენილი. იმ საქმეების გამო, რომელიც უნდა გარჩეულ-გაკეთებულიყო მთელის გამგეობის მეცადინობით, მაგრამ დაუდევრობით არ იქმნა გაკეთებული, პასუხს აგებს მთელი კოლეგია ერთად, ხოლო ცალკე წევრი პასუხის მგებელია იმ საქმეებისთვის, რომელთა გაკეთება მას დავალებული ჰქონდა, როგორც განსაკუთრებულ გამგეობის განყოფილების უფროს. ვიდრე განმარტებას შევუდგებოდე, უნდა აღვნიშნო ის გარემოება, რომ აღნიშნულს ხანებში ქალაქის გამგეობის მომქმედებით გაჩნდა დასობა, დაუწყეს პირადობას კრიტიკა და ამნაირად საზოგადო საქმეები პირად ინტერესებს თან ჰყვებოდა. რა ადგილი ჰქონდა კრიტიკას ამნაირად და დასობანას ქალაქის საქმეებში მაშინ, როდესაც ყველანი ვალდებულნი იყვნენ ესა თუ ის საქმე შეთანხმებით გაეკეთებინათ და ამით საერთო ინტერესები არ დაერღვიათ? მაგრამ, როგორც მოწმეების ჩვენებიდგანაც დავინახეთ, ყველა თავის შეხედულობის დაგვარად იქცეოდა, არა ჰქონდათ გამგეობისაგან ინსტრუქცია სახელმძღვანელოდ მიღებული, რის გამოც ქალაქს ბევრი ზარალი მოსდიოდა. ეხლა ვიკითხოთ, რა მდგომარეობაში იყო ქალაქის მეურნეობა (ХОЗЯЙСТВО) ჩაყენებული? ყოველივე თავ მინებებული, ყოველივე არევ-დარეული, და საქმეები იმდენად უწესოდ გაკეთებული, რომ ყოვლად შეუძლებელია მნახველისათვის, იქიდგან რაიმე გამორკვეული ცნობა მიიღოს. ამის დასამტკიცებლად საბრალმდებლო ოქმში მრავალი საბუთი გვაქვს. ავიღოთ, მაგალითად, ქალაქის სავაჭრო სამეურნეო პოლიციის მოქმედება. როგორც აქ. ზოგიერთ მოწმეთა ჩვენებიდგანაც დავინახეთ, უმრავლესობა აგენტებისა თავისდა შეხედულებით მოქმედებდა და როგორც უნდოდათ, ისე იღებდნენ ქალაქის მცხოვრებთაგან სხვა-და-სხვა გარდასახადებს, რადგანაც მათ სახელმძღვანელოდ არ ჰქონდათ წესდება—რომელ ნაწარმოებზე და ან რისთვის რამდენი გარდასახადი აეღოთ. თუმცა ზოგიერთმა მოწმემ განაცხადა, გამგეობის ის წევრი, რომელსაც ებარა სამეურნეო პოლიციის მართვა-გამგეობა ყველგან-მყოფობდა და ყველასათვის განმარტებათა მიცემასა და აგენტების მოქმედების თვალყურის გდებას ასწრებდაო, მაგრამ ეს შეუძლებელია, მით უმეტეს, რომ, სხვა მოწმეთა ჩვენებით, ამისათვის დრო არა ჰქონდა, რადგანაც გამგეობაში იგი დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის სამ-ოთხ საათამდე მუშაობდა, ხოლო საღამოთი ნაშუაღამევის პირველ საათამდე. ქალაქის სავაჭრო სამეურნეო პოლიციის აგენტებისათვის მით უფრო საჭირო იყო წესდება სახელმძღვანელოდ, რომ ამოდენა ხალხის თვალყურის გდება, გარდასახადის მოკრების დროს ყოვლად შეუძლებელი იყო გამგეობის წევრისათვის. 1897 წ. სავაჭრო პოლიციის უფროსმა ზედამხედველმა ალ. ჯაბადარმა წერილობით მიჰმართა გამგეობას და მოაგონა, რომ უსათუოდ საჭიროა წესდებაო, მაგრამ ამას ყური არავინ ათხოვა. როცა მთავრობამ მოაგონა მათ ეს გარემოება, მაშინ დაფაცურდნენ და თავ. არგუთინსკი დეპეშითაც შეეკითხა გამგეობის წევრად ნამყოფს ბ-ნ პოპოვს: „შეგვატყობინეთ, იყო თუ არა ინსტრუქცია, თუ იყო, სად არის იგი“.

(შემდეგი იქნება)

სია ქართველ ექსპონენტებთა, რომელნიც კავკასიის სამეურნეო გამოფენაზე დაჯილდოვებულ იქმნენ.

—

წარსულ კვირას გამოცხადებულ იქმნა სია ექსპონენტებთა, რომელთაც კავკასიის სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობისათვის ჯილდოები მიესაჯათ. რადგან დაჯილდოვებულთა რიცხვი ერთობ დიდია, ამიტომაც ჩვენ ჩამოვთვლით მხოლოდ ქართველებს.

---

*) იხ. „ივერია“ № 269.

ოქროს დიდი მედლები

განყოფილება I: მიწად-მოქმედება.

1) პრინცესსა მიურატს (ქუთაისის გუბერნია) რამის მოშენების თაოსნობისათვის. პრინცესსას დიდძალს მიწაზე მოჰყავს რამი, ააშენა ქარხანა მის დასამუშავებლად და მითი წაახალისა ადგილობრივი ხალხი, რომ მასაც მოეკიდნა ხელი ამ სასარგებლო მცენარის დამუშავებისათვის. გარდა ამისა პრინცესსამ რამის ნერგების მუქთად ხალხში დარიგებით ხელი შეუწყო მისი მოშენების გავრცელებას.

განყოფილება II: მევენახეობა და მეღვინეობა

2) დ. ზ. სარაჯიშვილს. (ტფილისში ღვინის სპირტისა და კონიაკისათვის).

განყოფილება III: მეხილეობა და მებოსტნეობა

3) ი. ი. ფურცელაძეს. (ს. მერეთი, გორის მაზრა) მებაღეობის სამაგალითოდ და რაციონალურად დაყენებისათვის, ხილეულობის ჩინებული სამრეწველო ჯიშის მოშენებისათვის და იმისთვისაც, რომ ცდილობს შემდეგისთვისაც თან-და-თან გააუმჯობესოს მებაღეობის კულტურა.

განყ. III: საქონლის მოშენება, მესამე გრუპპა.

4) თ-დს გ. ი. ორბელიანს. საჯდომ ცხენების მოშენებისათვის (მედალი კავკასიის სამ. საზოგადოებისაგან).

განყ. X: მეთევზეობა და ნადირობა

5) თ-დს ა. ნ. ორბელიანს, კარგი სანადირო ჯიშის ძაღლებისათვის.

განყ. XIII: საფაბრიკო მრეწველობა

6) დ. ზ. სარაჯიშვილს, (ტფილისში) სხვა-და-სხვა სორტის ჩინებული ღირსების ვოდკისა და სპირტის გამოხდისათვის საკუთარს ქარხნებში.

განყ. XV, პედაგოგიურ პროფესიონალური.

7) ქუთაისის საქალებო უფასო სკოლას კერვისა და ქრის კარგად სწავლებისათვის, კარგად ნაკერისა და ნაქარგის წარმოდგენისათვის და აგრეთვე ქუთაისის ღარიბ მცხოვრებთა შორის ცხოვრებაში გამოსაყენებელ ცოდნის გავრცელებისათვის.

8) ავლაბრის საქალებო სასწავლებელს ტფილ. ქველმოქმედ საზოგადოებისას (ტფილისში) ქარგაზე კერვისა და თეთრეულისათვის.

9) ახალციხის 4 კლას. საქალაქოს სასწავლებელს და მასთან დამატებითს კლასს, დამატებითი კლასის მოწაფეებთაგან სადურგლო და სამჭედლო ნაწარმოების ჩინებულად გაკეთებისათვის, საქსოვი დაზგებისათვის (სტანოკ) და სასწავლებლის სახელოსნოში დამზადებულ „საკას“ სისტემის ჩინებული ღირსების გუთნებისა და საბაღო ხელსაწყოებისათვის.

განყ. XVII, სამეცნიერო სასწავლო

10) გ. მესხიევს (ტფილისში) ხრომო-ლიტოგრაფიითა და ფოტოტიპიით მუშაობისათვის.

განყ. XVIII: მხატვრობა

11) გაბაშვილს ადგილობრივი საგნების შემოქმედებით დამუშავებისათვის.

(შემდეგი იქნება)

დამაკვირდი

ბუნებას რომ იმდენი კანონები ჰქონდეს, რამდენიც სახელმწიფოებსა აქვთ, თვით ყოვლად შემძლებელ ღმერთსაც კი გაუჭირდებოდა გამგეობა ბუნებისა.

ბერნე.

ისტორია იმისი, რაც არის, ისტორიაა იმისი, რაც ყოფილა და რაც იქნება.

სეგური.

უფრთხილდით და ნუ ჰკარგავთ დროს: ყოველი წუთი ძაფია თქვენის ცხოვრების ქსოვილისა.

რიხარდი.

ახალი წიგნი

რედაქციამ მიიღო შემდეგი წიგნი „Краткій очеркъ Грузинской народной музыки“ ი. კარგარეთლისა, გამოცემული კავსაძისა და კარგარეთლის მიერ. წიგნი 30 კაპეიკადა ღირს. ამ წიგნს დაწვრილებით მკითხველებს შემდეგ გავაცნობთ.

დეპეშა

„(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)“

11 დეკემბერი.

პეტერბურგი. პრინცესსა ევგენია მაქსიმილიანეს ასულმა ოლდენბურგისამ და დიდი მთავრინამ ოლგა ალექსანდრეს ასულმა დილით ინახულეს მოწყალების დათა წმინდა-სამების საზოგადო საცხოვრებელი.

ხარკოვი. დეკემბრის 10-ს დაიწყო დამატებით არჩევანი ქალაქის ხმოსნებისა. ჯერ-ჯერობით აირჩიეს სულ 50 ხმოსანი.

ტამბოვი. დეკემბრის 12-ს დაიხურა გუბერნიის ერობის კრება. გამგეობის ბევრს მოხსენებაზე ვერ მოასწრეს განჩინების დადგენა. განზრახვა აქვთ, თებერვალში საგანგებო კრება მოიწვიონ.

პეკინი. იმპერატორის სახლობა მობძანდა ჩჟილის თემის საზღვარში. ელჩების უბანში, თავის მალაზიის წინ, ნახეს მოკლული ბერძენი.

ვარშავა. ფინანსთა სამინისტროსაგან ინიშნება საგანგებო კომისია პოლშაში საკლასსო ლატარიის წესების შესაცვლელად. ამ მხარეში მოვიდა წარმომადგენელი საფრანგეთში ფრინველეულობის მოვაჭრეთა და ხელ-მისაცემ ფასად პირობას უკრავს აქაურებს, რომელთაც ავალებს ცოცხალი და დაკლული ფრინველები გაგზავნონ საფრანგეთში. პეტროკოვსკის გუბერნიაში 80 მამულია დანიშნული გასაყიდად საერობო კრედიტის საზოგადოების ვალში.

ნიუ-იორკი. ბუენოს—აირესიდან იტყობინებიან, რომ დიდი ბრბო თავს დაეცა ჩილის რესპუბლიკის საელჩოს და ყვიროდა „ძირს ჩილი!“ ბრბო გაფანტულ იქმნა, სანამ რაიმე ვნებას მოიტანდა.

ლონდონი. კიტჩენერი იტყობინება, რომ დეკემბრის 5-ს; 800 ჯარის კაცით დევეტი თავს დაესხა ღენერალს დარტნელს ლანებერგთან, ბეთლემის მაზრაში, მაგრამ რამდენისამე საათის ბრძოლის შემდეგ განდევნილ იქმნა. მტერს მოუკლეს 20 კაცი, ინგლისელებს მოუკლეს ერთი ჯარის კაცი და დაუჭრეს ორი აფიცერი და ათი ჯარის კაცი. სპენსი იწერება, რომ ცხენით მავალ ქვეითი ჯარის 400 კაცს ბეგინდსლინზის მაზრაში, ტრანსვაალში თავს დაესხა 300 ბური და 40 ადგილობრივი მკვიდრი. ინგლისელები დამარცხდნენ, ვიდრე სპენსი მიეშველებოდა. მარცხი დიდია, დაწვრილებით ამბავი ჯერ არ მოსულა. ორი აფიცერი მძიმედ დაიჭრა. პოლკოვნიკები დემენტი და რემინგტონი მივიდნენ ტაფელკოპამდი ორანჟეს რესპუბლიკაში. დეკემბრის 7-ს რვაასი ბური, ბოტას წინამძღოლობით თავს დაესხა დემენტის მოწინავე ჯარს, რომელიც თუმცა მამაცურად იბრძოდა, მაგრამ ბოტამ მაინც ხელთ იგდო ერთი გორა, რადგანაც თავს დაჰყურებდა ინგლისელთ ჯარსა და არტილერიას. დემენტმა გადადევნა ბურები იმ გორიდგან. თვით დემენტი მძიმედ დაჭრილია. მოუკლეს ორი ოფიცერი და 20 ჯარის კაცი, დაუჭრეს 3 აფიცერი და 17 ჯარის კაცი. რემინგტონმა ტყვედ წაიყვანა კომანდირი კეიტერი და 4 ჯარის კაცი. პოლკოვნიკს მაკ-კენზი დეკემბრის 6-ს თავს დაესხა ბარგნდისა და სმიტის ჯარს კაროლინის ოლქში, ბურებს მოუკლეს 6 და ტყვედ ჩაიგდეს 16 ჯარის კაცი. პოლკოვნიკის პარკის რაზმს თავს დაესხა ამ თვის ექვსს ნალსტრომის ოლქში მიულლერტრიგაარტის გუნდი, რომელსაც თან ჰქონდა დიდი ზარბაზნები. მტერი განდევნილ იქმნა. ბრძოლის ველზე მან დასტოვა რვა მოკლული და 3 დაჭრილი. ინგლისელთ მოუკლეს 7 და დაუჭრეს ბევრი აფიცერი და ჯარის კაცი.

სოფია. საერო კრების გუშინდელ სხდომაზე ვერ გადასწყვიტეს სესხის აღების საქმე, ტოდოროვმა ოთხი საათი ილაპარაკა სესხის წინააღმდეგ. კრება დღესაც იმავ საგანს იხილავს.

12 დეკემბერი

ნიუ-იორკი. „ნიუ-იორკ-ჰერალდს“ ატყობინებენ ვალპარაიზოდან: სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთო, რომ ჩილისა და არგენტინის რესპუბლიკებმა ხელი მოაწერეს ოქმს, რომელშიც სადავო საქმე დასრულებულად არის აღსაარებული და დასძინეს, რომ ორნივე მმართლებლობანი თანახმანი არიან დაიცვან 1898 წ. ოქმი და სადავო ოლქებში არ მოიხმარებენ თავიანთს უზენაესს უფლებას, სანამ სადავო საქმეს მათს შორის არ გადასწყვეტს მეფე ედუარდი, როგორც მედიატორი. ვალპარაიზოდან გამოგზავნილი ტელეგრამა ამართლებს ხსენებული გაზეთის ცნობებს ბუენოს—აირესიდან იტყობინებიან რომ პრეზიდენტმა როკამ ვრცელი ანგარიში დასწერა ეხლანდელ არეულ მდგომარეობის შესახებო. მისი ანგარიში ინგლისში გაიგზავნაო.

პარიჟი. ოსმალეთის ელჩმა მუნირ ბეიმ უთხრა „გოლუას“ თანამშრომელს, რომ ტრიპოლის საკუთარი ჩვენთვის არ არსებობსო. იქაური მაჰმადიანები ხონთქრის ერთგულნი არიან, ის ხმა, რომ ვითომც მათს შორის სამხედრო ბეგრის შემოღების გამო შეტაკება მოხდაო, ტყუილია. თვით ისინი თხოულობდნენ, რომ ესწავლებინათ მათთვის თოფ-იარაღების ხმარება, და ასწავლიან კიდეც მათ ოსმალეგაწვ-თნილი ჯარის აფიცრები. ყოველ დღე დილით და საღამოთი ზღვის მინისტრმა და უმთავრესი შტაბის უფროსებმა უთხრეს ზღვის კომისარ, რომ ორ ზღვას შუა არხის გაყვანა სასურველია იმ შემთხვევაში, თუ არხში დიდი გემებიც გაეტევაო.

კალკუტტა. ინგლისის ჯარებმა იერიშით აიღეს სპარსელ ავაზაკებისაგან დაკავებული სიმაგრე ნოდიცთან, მერკაუში. ინგლისელთ მოუკლეს 3 ჯარის კაცი, 2 აფიცერი და 6 ჯარის კაცი დაუჭრეს ავაზაკებს მოუკლეს 20 კაცი, მათ შორის ბელადიც, დაუჭრეს 14 და ტყვედ ჩაიგდეს 64 ავაზაკების ბრბო სრულიად გაწყვეტილა.

მოსკოვი. ამ თვის 11-ს გილიაროვსკიმ გადას რუსულ სიტყვიერების მოყვარული ის დიპლომი, რომელიც თავის დროზე მიეცა გოგოლს, როგორც საპატიო წევრს მოსკოვის უნივერსიტეტისას.

ყოველ-დღიური საჭირო ცნობები:

კავკასიის რკინის გზის მატარებლების ძიმოსვლა 15 ოქტომბრიდგან 1901 წლისა (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს, ფრჩხილებს გარეთ—პეტერბურგის საათით)

მატარებელი მიდის ტფილისიდგან ბათუმში:

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.), ბათუმში ჩავა დილის 8 ს. 33 წ. (9 ს. 26 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 9 30 წ. (10 ს. 28 წ.), ბათუმში ჩავა საღამოს 9 ს. 28 წ. (10 ს. 26 წ.).

ტფილისიდგან ბორჯომში:

სამგზავრო მატარებელი № 67 დღის 1 ს. 44 წ. (2 ს 42 წ.), ბორჯომში ჩადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ტფილისიდგან ბაქოში:

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, პარასკევობით, დღის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.), ბაქოში ჩადის ღამის 3 ს. 58 წ. (4 ს. 50 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.), ბაქოში ჩადის დილის 6 ს. 33 წ. (7 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 საღამოს 9 ს. 36 წ. (10 ს. 34 წ.), ბაქოში ჩადის დღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

ტფილისიდგან ყარსში:

ფოსტის მატარებელი № 58, 59 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.,) ყარსში ჩადის დღით 12 ს. 23 წ. (1 ს. 21 წ.).

ბათუმიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი № 4 ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 10 ს. 45 წ. (11 ს. 43 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 დილის 8 ს. 58 წ. (9 ს. 56 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს 8 ს. 33 წ. (9 ს. 31 წ.).

ბაქოდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 1 ხუთშაბათობით ღამის 10 ს. 41 წ. (11 ს. 39 წ.) ტფილისში ჩიმოდის დღის 12 ს. 47 წ. (1 ს. 45 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3 ღამის 12 ს. 2 (1 ს.) ტფილისში მოდის, საღამოს 6 ს. 24 წ. (7 ს. 22 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დღის 3 ს. 35 წ. (4 ს. 33 წ.) ტფილისში მოდის დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბორჯომიდგან ტფილისში:

სამგზავრო მატარებელი № 66 ღამის 1 ს. 50 წ. (2 ს. 48 წ.), ტფილისში შამოდის დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ყარსიდგან ტფილისში

ფოსტის მატარებელი № 60—61 დილის 4 ს. 12 წ. (5 ს. 10 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს 47 წ. (7 ს. 45 წ.)

განცხადებანი

მკურნალი

ნ. ტ. მულინი.

იღებს ყურითა, ყელითა და ცხვირით ავადმყოფებს ყოველ-დღე ნაშუადღევის 1—3 საათამდე და საღამოს 6—8-მდე. სუდებნაია № 17.

(წლ.)

ქ. ქობულეთში

ისყიდება აგარაკი თავად მაჰუტაძისეული, რომელიც ეხლა ეკუთვნის კნეინა მარიამ ალექსანდრე მაჰუტაძის ასულს წერეთლისას. პირობები ქუთაისში მარიამ მომფორიასთან.

(3—6.—2)

ყოველ-დღიური საჭირო ცნობები.

ამიერ კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლის ახალი გაწეს-რიგებით 15 **ოქტომბრიდგან სამგზავრო, საფოსტო და საბარგო-სამგზავრო მატარებლები** რკინის გზის სადგურებს შუა **შემდეგ პლატფორმაზედ გაჩერდებიან მგზავრების ჩასასხდომად და გადმოსასხდომად: ბათუმსა და ჩაქვას შუა** მე-91 და მე-93 ვერსზედ, **ზელენი მისში** და **მახინჯაურში №№** მატარებლებისა 3, 4, 6, 104, 103, 105 106, 99 და 100; **ჩაქვასა და ქობულეთის შუა** მე-84 ვერსზედ, **ბუკნარში**, №№ მატარებლებისა 103, 104, 105 და 106; **სამტრედიასა და კოპიტნარს შუა** მე-98 ვერსზედ, **გუბში**, №№ მატარებლებისა 3, 4, 96, 99 და 100; **ძსანსა და მცხეთას შუა**, მე-264 ვერსზედ, **შიომღვიმეში**, №№ მატარებლებისა 3, 4, 66, 67; **მცხეთასა და ავჭალას შუა**, მე-278 ვერსზედ, **ზედაზენში**, №№ მატარებლებისა 3, 4, 66, 67; **აბაშას და ახალ-სენაკის შუა**, მე-40 ვერსზედ, **კოსირში** და **სამტრედიასა და აბაშას შუა**, მე-57 ვერსზედ, **ცხენის წყალში**, №№ მატარებლებისა 93, 94, 95, 96, 97 და 98; **გელათისა და გოგირდის წყლებს შუა**, მე-22 ვერსზედ, **კურსებში**, **ქუთაისსა და გელათის შუა**, მე-6 ვერსზედ, **მოწამეთში და საწიროსა და ტყვიბულს შუა**, მე-42 ვერსზედ, **ახალსოფელში**, №№ მატარებლებისა 80 და 81; **მიხაილოვისა და სურამათოვას შუა**, მე-9 ვერსზედ, **ქვიშხეთში** და **სურამათოვოსა და ბორჯომს შუა**, მე-15 ვერსზედ, **კარტანეთში**, №№ მატარებლებისა 70, 71, 72, 73, 66 და 67; **ბოსლევსა და რკვიას შუა**, მე-18 ვერსზედ, **ბეგლევში** და **ჭიათურასა და დარკვეთს შუა**, მე 33 ვერსზედ, **ჭიკაურში**, №№ მატარებლებია 76, 77, 78 და 79.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 13-го Декабря 1901 г. სტამბა გრ. ჩარკვიანისა, სასახლის ქუჩა, № 117, 118 დროებითი რედაქტორი ალ. ხარაჯიშვილი.
გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.